მარნეულის მუნიციპალიტეტის _სოფელ მარადისის (დასახლების სახელწოდება)

დასახლების საერთო კრების

ოქმი №1

„ 9 “ „ დეკემბერი “ 2023 წელი
(გამართვის თარიღი)

საჯარო სკოლის ტერიტორია
(გამართვის ადგილი)

კრებას ესწრებოდნენ: დასახლებაში რეგისტრირებული 239_მოქალაქიდან 84 მოქალაქე.

როინ დეკანოიძე -მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;
ზურა ფანგანი -მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
მამუკა შუბითიძე -ადმინისტრაციული სამსახურის I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
კობა ჩხიტუნიძე -საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
დავით კაპანაძე - ზედამხედვრლობის სამსახურის I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
მერიის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლები;
არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები;

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 ნოემბრის №32.32233245 ბრძანების ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადისის საერთო კრების მოწვევისა და საერთო კრების დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე განისაზღვრა:

დღის წესრიგი:

1. ნარჩენების მართვა
2. გამწვანება
3. სხვა

მოისმინეს: ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მამუკა შუბითიძის მოხსენება, მან დამსწრეებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, ასევე ისაუბრა დასახლების საერთო კრების მნიშვნელობასა და მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ თვითმმართველობის საქმიანობაში. კრების თავმჯდომარემ მოსახლეობას აუხსნა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა მოსახლეობის მიერ წარმოდგენილ პრიორიტეტულ პროექტს გაითვალისწინებს 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში.

კრების მსვლელობისას, პრიორიტეტების გამოსავლენად გამოითქვა მოსაზრება, რომ სოფელ მარადისის მოსახლეობა გაიყოფოდა 3 ჯგუფად და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების მიხედვით განისაზღვრებოდა პრიორიტრტულ საკითხები.

აზრი გამოთქვეს: სოფელ მარადისი მაცხოვრებლებმა. მათ თანხმობა განაცხადეს ჯგუფებში მუშაობაზე. დასახლების კრების მონაწილეები გაიყვნენ 3 ნაწილად; პრიორიტეტები შემდეგნაირად გადანაწილდა:

პირველი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი იქნა პრიორიტეტები:

1, ნაარჩენების მართვა

- სეპარირებისათვის განკუთვნილი ურნების განთავსება;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განკუთვნილი ურნების დამატება;
- ცნობიერების ამაღლების კამპანია;
- დანაგვიანების ფაქტზე საჯარიმო სანქციების აღსრულება;
- ,,ეკო კლუბი"-სთვის შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა;

მეორე ჯგუფის მიერ წარმოდგენილი იქნა პრიორიტეტები:

2. გამწვანება

- გზის გასწვრივ ნარგავების გშენება;
- ქარსაცავი ზოლის მოწყობა;
- სკვერის განახლება , მწვანე ნარგავების დამატება;
- სარწყავი არხის განახლება, ჭაბურღილის მოწყობა;

მესამე ჯგუფის მიერ წარმოდგენილი იქნა პრიორიტეტები:

3 სხვა

- მინი სტადიონის მოწყობა;
- საჯარო სკოლის მშენებლობა;
- სამავშვო ბაღის მშენებლობა;
- სპორტული დარბაზის მშენებლობა;
- მიუსაფარი ცხოველების მართვა;
- სარიტუალო სახლის მშენებლობა;
- სამედიცინო ოთახის მოწყობა;
- თავშეყრის ოთახის მოწყობა;
- კანალიზაციისათვის ინფრასტრუქტურის მშენებლობა;

შერჩეული პრიორიტეტების მიხედვით, სოფელ მარადისის მოსახლეობიდან ჯგუფის წარმომადგენლებმა გამართეს პრეზენტაცია, რის შემდეგაც ღია კენჭისყრის საფუძველზე გაიმართა ხმის მიცემის პროცესი.
მიცემული ხმების რაოდენობა გადანაწილდა შემდეგნაირად:

1. **ნაარჩენების მართვა**

- სეპარირებისათვის განკუთვნილი ურნების განთავსება- 14 ხმა;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განკუთვნილი ურნების დამატება -12 ხმა;
- ცნობიერების ამაღლების კამპანია-0 ;
- დანაგვიანების ფაქტზე საჯარიმო სანქციების აღსრულება -0 ხმა;
- ,,ეკო კლუბი"-სთვის შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა -27 ხმა;

2. **გამწვანება**

- გზის გასწვრივ ნარგავების გაშენება (ქუჩები, შემოსასვლელი გზა, ქარსაფარის მოწყობა) – 33;
- სკვერის განახლება , მწვანე ნარგავების დამატება -0;
- სარწყავი არხის განახლება, ჭაბურღილის მოწყობა -7;

3 **სხვა**

- მინი სტადიონის მშენებლობა ტრენაჟორების მოწყობა -42 ხმა;
- საჯარო სკოლის მშენებლობა -0;
- სამავშვო ბაღის მშენებლობა - 6 ხმა;
- სპორტული დარბაზის მშენებლობა -0 ხმა;
- მიუსაფარი ცხოველების მართვა;
- სარიტუალო სახლის მშენებლობა -14 ხმა;
- სმაედიცინო ოთახის მოწყობა -0 ოთახი;
- თავშეყრის ოთახის მოწყობა -0 ხმა;
- კანალიზაციისათვის ინფრასტრუქტურის მშენებლობა -0 ხმა;

კენჭისყრის შედეგები:

ჩატარდა ღია კენჭისყრა, მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით მოსახლეობის მიერ შეირჩა მათთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი:

- გზის გასწვრივ ნარგავების გაშენება (ქუჩები, შემოსასვლელი გზა, ქარსაფარის მოწყობა)-3;
- ეკო -კლუბის ტექნიკური აღჭურვა, ცნობიერების ამაღლება - 0;
- მინი სტადიონის მშენებლობა (ტრენაჟორების მოწყობა) -41;

- **დაადგინეს:** ღია კენჭისყრის შედეგად, დასახლების საერთო კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, 41 ხმით, პრიორიტეტად განისაზღვრა მინი სტადიონის მშენებლობა (ტრენაჟორების მოწყობა);

სხდომის თავმჯდომარე: _ /მ. შუბითიძე/ ----------

(ხელმოწერა)

სხდომის მდივანი - / ი. მაჭარაშვილი/